

საქართველოს კანონის პროექტზე "საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის კანონის
"პატიმრობის შესახებ" ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

"პატიმრობის შესახებ" საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის კანონის 26 მუხლის 1 პუნქტის "ა-ე)" ქვეპუნქტის შესაბამისად, მსჯავრდებულს უფლება აქვს უზრუნველყოფილი იყოს ბანდეროლების, ამანათებისა და ფულადი გზავნილების მიღება-გაგზავნით ადმინისტრაციის კონტროლით."

აღნიშნული უფლების რეალიზაცია ხშირ შემთხვევაში სასჯელაღსრულების სისტემის ეფექტური ფუნქციონირების შემაფერხებელ ფაქტორად გვევლინება. მიუხედავად სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციის მხრიდან ამ უფლების განხორციელებაზე მკაცრი კონტროლისა, არის შემთხვევები როდესაც სხვადასხვა შეფარებით ბერხის გამოყენებით ბანდეროლისა თუ ამანათის შემგვობით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში აღწევს აკრძალული ნივთი, რომლის გამოც უპირავე პრობლემა წამოჭრილა დაწესებულების მიგნით. ამ საკითხისადმი კონტროლის გამკაცრებასთან ერთად იზრდება კორუფციის ალბათობა, რაც ძალიან უარყოფითად მოქმედებს საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის იმიჯზე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთი მიზანი საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში ეკრო სტანდარტების დანერგვაა. ამ კუთხით სამინისტროს ინტენსიური მუშაობის შედეგად ქ. ქუთაისსა და ქ. რუსთაველაში აშენდა საერთაშორისო სტანდარტების დონის სასჯელაღსრულების დაწესებულებები, რომლებშიც ახალი ნორმების იმპლემენტაცია იქნება საჭირო რათა ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესვას წარსული სისტემის გადმონათობას.

ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში კონტროლის უმაღლესი ზომების დანერგვის, კორუფციასთან გამკაცრებული ბრძოლისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ საქართველოს კანონში "პატიმრობის შესახებ" შევიღეს ცვლილება დამატებები, რომლებიც წარმოდგენილია კანონპროექტის სახით.

ზემოაღნიშნული კანონპროექტის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა კონკრეტულ დაწესებულებაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, თავად უნდა განსაზღვროს დაწესებულებები სადაც ნებადართულია მსჯავრდებულის მიერ ბანდეროლების, ამანათებისა და ფულადი გზავნილების მიღება-გაგზავნა ადმინისტრაციის კონტროლით და დაწესებულებები სადაც იკრძალება აღნიშნული უფლებით სარგებლობა.

დაწესებულებაში, რომელშიც იუსტიციის მინისტრის ბრძანების საფუძველზე აკრძალება მსჯავრდებულის მიერ ბანდეროლების, ამანათებისა და ფულადი გზავნილების მიღება-გაგზავნა ადმინისტრაციის კონტროლით, ამუშავდება, ციხის გარედან დახმარების მიღების ახალი მექანიზმი რომელიც უმტკივნეულოდ და ცივილურა ფორმით გადაჭრის ამ საკითხს, ეკრძოდ: დაწესებულებაში სადაც დაწესდება ამ სახის აკრძალვა გაიხსნება სავაჭრო მინი-მარკეტი, რომელშიც ანგარიშსწორება იქნება პლასტიკურა საბანკო ბარათებით. (საბანკო ბარათი უფასოდ გადაეცემა ყველა მსჯავრდებულს, რომელიც იქნება ამ ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.) პირს რომელსაც სურდა ამანათისა თუ ბანდეროლის გადაეცემა მსჯავრდებულისათვის, ამ შემთხვევაში შესაძლებლობა ექნება საბანკო ოპერაციით უმოკლეს ვადაში, უპარტივესი პროცედურით დაურიცხოს ზღვრული თანხა, რომლის ხარჯეაც მსჯავრდებულს შეეძლება ზემოაღნიშნულ მინი-მარკეტში, დღიური ლიმიტის შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება იქნება კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი წინ გადადგმული ნაბიჯი, სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმირებაში.

აღნიშნული კანონპროექტის მიღება არ იწვევს დამატებით საბიუჯეტო ხარჯებს.